

7-04/149-17  
23.02.17



KA020175318054517

საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების სამინისტრო



MINISTRY OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10<sup>ა</sup> (ყოფილი ბელინსკი)  
10<sup>ა</sup>, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05

Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 08/1010

22 / თებერვალი / 2017 წ.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თქვენი 2017 წლის 14 თებერვლის №გ-04/140-17 განცხადების (№2161/11; 16.02.2017წ.) პასუხად, სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" მე-11 მუხლი, რომელიც ადგენს დასახლებათა ტერიტორიების ზოგად ფუნქციურ და კონკრეტულ ფუნქციურ ზონებად დაყოფას, კონკრეტული ფუნქციური ზონების ჩამონათვალში არ ითვალისწინებს სარეკრეაციო ზონა 1-ს. ფუნქციური ზონების ჩამონათვალში მოცემულია მხოლოდ სარეკრეაციო ზონა. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული - „ურეკი-შეკვეთილის სარეკრეაციო ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“-ს მე-14 მუხლი ასევე არ ითვალისწინებს სარეკრეაციო ზონა 1-ს. საქართველოს მთავრობის აღნიშნული დადგენილებებით დამტკიცებულ დოკუმენტებში მოცემულია სარეკრეაციო ზონის ზოგადი განმარტება, თუ რა საზღვრებში მდებარეობს და რას მოიცავს სარეკრეაციო ტერიტორია, სადაც შესაძლებელია სარეკრეაციო ზონის (რზ)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად, მაგრამ არ ითვალისწინებს ამ ტერიტორიებზე დაშვებული სახეობების ჩამონათვალს. აღნიშნულ ფუნქციურ ზონაში ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობების ჩამონათვალი მოცემულია მხოლოდ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N 14-39 დადგენილებით დამტკიცებულ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ  
გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

თამარი გონდაური